მედინაში ჩამოვიდნენ ადამიანები 'უქლის ან 'ურაინას ტომებიდან

ანას ბინ მაალიქმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: მედინაში ჩამოვიდნენ ადამიანები 'უქლის ან 'ურაინას ტომებიდან, თუმცა ქალაქის კლიმატი მათთვის შეუსაბამო აღმოჩნდა. მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) უბრძანა მათ, რომ გასულიყვნენ მისი (სადაყის) საჯინიბოს აქლემებთან და დაელიათ მათი რძე და შარდი. მათაც ასე მოიქცნენ და როდესაც გამოჯანმრთელდნენ, მოკლეს მოციქულის მწყემსი და აქლემები წაართვეს. როდესაც ეს ამბავი ცნობილი გახდა, მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) გაუგზავნა ხალხი მათ დასაჭერად. შუადღისთვის ისინი მოჰგვარეს. მაშინ მან უბრძანა, რომ მოეჭრათ მათთვის ხელები და ფეხები, დაეთხარათ თვალები და გადაეგდოთ ისინი ალ-ჰარრას არეალში. ისინი წყალს ითხოვდნენ, მაგრამ არ მიეცათ. აბუ ქილაბამ თქვა: «ამ ხალხმა მოიპარეს, მოკლეს, განუდგნენ რწმენას მიღების შემდეგ და ომი გამოუცხადეს ალლაჰსა და მის მოციქულს».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორი ტომის 'უქლის და 'ურაინას ხალხი ჩამოვიდნენ და მიიღეს ისლამი, მათ შეხვდათ ავადმყოფობა და პანდემია, რომელმაც ძლიერ აატკივა მათი მუცლები, მათ არ მოეწონათ მედინაში ცხოვრება, რადგან ვერ შეეგუვნენ საკვებს და მედინას ჰაერს. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მათ უბრძანა, რომ წასულიყვნენ მწყემსებთან, რომლებიც აძოვებდნენ აქლემებს და დაელიათ აქლემის რძე და შარდი, ისინიც წავიდნენ, როდესაც გამოჯანმრთელდნენ და დაუბრუნდათ პირვანდელი სახე, მათ მოკლეს შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მწყემსი და წაიყვანეს აქლემები. ამ ამბავმა მედინაში დილა ადრიანად ჩააღწია, მათ დასაჭერად მათ უკან მდევრები გაგზავნა, მზე ამაღლებული იყო შუადღეს, როცა შეძლეს მათზე დაწევა და მათი დაკავება. ისინი შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დატყვევებულები მოიყვანეს, მოციქულმა მათი ხელების და ფეხების მოკვეთა ბრძანა, და ასევე თვალების დათხრა, რადგან ისინიც ზუსტად ანალოგიურად მოექცნენ მწყემს (მოკვეთეს მას ხელები, ფეხები, და დათხარეს თვალები). ისინი დაყარეს ალ-ჰარას ტერიტორიაზე (ადგილი მედინას მახლობლად), ისინი ითხოვდნენ წყალს, მაგრამ მათ არავინ აძლევდა წყალს და ასე დაიხოცნენ. აბუ ყილაბამ თქვა: მათ მოიპარეს ნახირი, მოკლეს მწყემსი, უარყვეს რწმენის მიღების შემდეგ, და ებრძოდნენ ალლაჰს და მის შუამავალს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/66205